ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 95

13 ივნისი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
13:00 სთ
მოწვეული სტუმარი:
თბილისის მერიის საფინანსო საქალაო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე, ალექსანდრე ხუჯაძე.

ქონების მართვის და საფიონანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.
(**№11-01251632686 საკრ.№15-032516358-03 12/06/2025)**

(№11-0125163655 საკრ.№15-032516337-03 12/06/2025)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას მოხსენებით, რაიონული გამგეობები წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავენ, რომ მეორე კვარტალში შესრულდა დაგეგმილზე მეტი სამუშაოები სხვადასხვა ქვეპროგრამებში და ითხოვენ კვარტალურ ცვლილებებს.
კერძოდ, დაგეგმილთან შედარებით მეტი სამუშაოების შესრულების გამო იზრდება მეორე კვარტლის გეგმები შემდეგ ქვეპროგრამებში:
„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 09)- იზრდება 300 000 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 12)-150 000 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 16-)-300 560 ლარით, „გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 17)- 1 445 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 12) -ცვლილება ხდება წლიურ გეგმაში. იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლი -240 733 ლარით, შესაბამისად მცირდება მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“
ასევე იზრდება მეორე კვარტლის გეგმა „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 16)-500 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 17)-106701 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 18)-200 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 11)-150000 ლარით.
აღნიშნული ცვლილება ესაჭიროებათ ქვეპროგრამის ფარგლებში სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის.

ამხანაგობების წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების და საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების უკვე შესრულებულ სამუშაოებისათვის საჭიროა ცვლილებები ჩუღურეთის,მთაწმინდის და კრწანისის რაიონების შესაბამის პროგრამებში.

დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე იზრდება ასევე „სამედიცინო და სხვა სოციალური დახმარებების ღონისძიებების" პროგრამა (პროგ/კოდი 06 02 09) მეორე კვარტლის გეგმა 1 000 000 ლარით, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტებით დაფინანსება" (პროგ/კოდი 06 02 08)- 650 000 ლარით, „სტუდენტთა დაფინანსები პროგრამა"(პროგ/კოდი 07 05 03)- 300 000 ლარით.

სულ გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა ჯამში იზრდება 4995891 ლარით, დაბალანსება ხდება შემოსავლების ზრდისა და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6, თავი შეიკავა-0 წინააღმდეგი -0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების,კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**